№ 71 აპრილი 7, შაბათი 1890 აპრილი 7, შაბათი № 71


| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებშისასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


## ი ვ ე რ ი ა

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთაშორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

დაიბეჭდა და ისყიდება „წერა კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**თხზულებანი**

რ. ერისთავისა, ნაწ. II, ლექსები

გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“

ფასი 40 კაპ.

(5—4)

სასწავლებელი და პანსიონი სფ. ბესარ. ჯორჯიკიასი

( ქუთაისში )

ზაფხულშიაც მიიღებს შეგირდებს მოსამზადებლად გიმნაზიებისა, პროგიმნაზიებისა და სხვა სასწავლებლებისათვის. (10 — 2)

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ძალისა გამო, თავად-აზნაურთა კრების დადგენილობისა 18 მაისიდგან 1889 წლისა, განაცხადებს, რომ ამა მდგომარე წლის რვა მაისისათვის ქალაქ ქუთაისში დანიშნულია არა ჩვეულებრივი კრება ქუთაისის თავად-აზნაურთა. ამა კრებამ უნდა მოისმინოს მოხსენება კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამა კრების საქმეებისა და ფულის შესავალ-გასავლის წარმოების გადახედვა და 1889 წლის თავად-აზნაურთა არა ჩვეულებრივ კრების დადგენილობათა შედეგის შეტყობა.

(3—2)


## ახალი ამბავი

*** ალდგომის წინა დღეებში დაიბეჭდა და ისყიდება დღეს ყველა მაღაზიაში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ გამოცემული წიგნი: თხზულებანი თ. რ. ერისთავისა, ნაწილი II. ლექსები. ამ წიგნშია მოთავსებული ყველა ის ლექსი, რომელიც დასწერა პოეტმა ამ უკანასკნელს ათს წელიწადს და რომელთა მეტი წილი ხალხურს კილოზეა დაწყობილი. სულ წიგნში, მოთავსებულია 74 ლექსი, დიდი და პატარა. პირველად დაბეჭდილია „ქოროღლი“ და უკანასკნელად: „შვიდნი ვართ“. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი, შეიცავს 110 გვერდს და ღირს 40 კაპ.

*** 4 აპრილს ქალაქის საბჭოს შენობაში იყო კრება ტფილისის ცეცხლისაგან დამზღვეველ საზოგადოების წევრთა ქალაქის თავის ა. ს. მატინოვის თავმჯდომარეობით. როგორც ანგარიშიდამა სჩანს, წარსულ წლის 1 ივნისიდამ 1890 წლის 1 იანვრამდის საზოგადოებას მიუღია დასაზღვევად 195 შენობა 4.253,977 მანათისა. აქედგან პრემიად ერგება საზოგადოებას 9,378 მან. 27 კაპ. თითქმის ყველა დაზღვეული შენობა ძნელად ცეცხლ-მოსაკიდებელია. დამზღვეველები სულ მდიდარი მესაკუთრეები არიან. წარსულ საანგარიშო წელს მხოლოდ ერთს დაზღვეულ სახლს მოეკიდა ცეცხლი და საზოგადოებამ 35 მანათი იზარალა. სარევიზიო კომისიამ აღიარა, რომ გამგეობას „საზოგადოების“ საქმეები წარსულ წელს რიგიანად მიჰყავდაო. შემდეგ ზედამხედველმა კომიტეტმა მოითხოვა, რომ გამგეობის თავმჯდომარეს დაენიშნოს ჯამაგირად 2,000 მან., დირექტორს 1,200 მან., არქიტექტორს 1,600 მან., ბუხჰალტერს 840 მან., კასსირს 450 მან., საკანცელარიო, განცხადებათა დასაბეჭდად და სხვა ამ გვარ ხარჯისათვის 1,120 მან. გადიდოს და სულ 7,210 მან. კრებამ შეიწყნარა ეს თხოვნა. ბოლოს გამგეობის წევრად ამოირჩიეს მუთაფოვი, იმის კანდიდატად ახლამაზოვი, სარევიზიო კომისიის წევრებად თ. ი. გ. მაჩაბელი და მ. ი. თამამშევი და იმათ კანდიდატად ბ-ნი ლისიცევი.

*** სარწმუნო წყაროდგან შევიტყეთ, რომ სურამის გვირაბის გამკეთებელს, ბ-ნს რიძევსკის, რომლისათვისაც მიუნდვიათ გამოიკვლიოს რკინის გზის გაკეთების საქმე კავკასიის ქედის გარდი-გარდმო, წარუდგენია თავისი აზრი მთავრობისათვის, რომ გვირაბის გაკეთების შემდეგ მრავალი მასალა დარჩა რკინის გზის გასაკეთებლად და ეს მასალა რომ მოხმარდეს ჰიათურამდე გზის გაკეთებას, ჰიათურის გზა ძალიან იაფად დაუჯდებოდა ხაზინასაო. მთავრობას, როგორც ამბობენ, ბ-ნ რიძევსკისათვისვე მიუნდვია ამ გზის გაკეთებაც და იმ მასალის მოხმარება, რომელიც სურამის გვირაბის კეთებას გადარჩაო.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: 8 მარტს გამართულ იქმნა ქართულის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენა ტფილისის საბალოსნო სკოლის შეუძლებელ მოსწავლეთა სასარგებლოდ. ამ წარმოდგენიდამ შემოვიდა სულ გარდა ტანისამოსის შესანახად აღებულის ფასისა 476 მან. 30 კაპ. დაიხარჯა წარმოდგენის გასამართავად დასის მიერ 240 მან., ხოლო თვით სკოლის მიერ—23 მან. 70 კაპ. დარჩა ნაღდი 212 მან. 60 კაპ., რომელიც გადაეცა სკოლას დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად. მთავრობა სკოლისა მადლობას უძღვნის ბ-ნს ვ. ა. აბაშიძეს, ქართულის დასის გამგეს, და თვით არტისტებს დასისას, რომელთაც შრომა გასწიეს წარმოდგენის გასამართავად, და აგრეთვე იმათაც, ვინც დაეხმარა ამ საქმეს: ქ-ბ ნს ბ. გ. ცაგარელისას, ა. ს. წურინოვს და სხვ.

*** 25 მარტს გამართულის სასულიერო კონცერტისაგან „სამუსიკო კრუჟოკის“ მიერ შემოსულა ნაღდი ფული 90 მან. 70 კაპ., რომელიც დანიშნულებისამებრ კრუჟოკს გადაუცია „ტფილისის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ქალთა ურთიერთის დამხმარებელის საზოგადოებისათვის“.

*** ქ. ფოთი: აღდგომის დღესასწაულებმა მშვიდად და წყნარად ჩაიარა. ხორაგეულობა საშინლად ძვირად იყიდებოდა აქაურს სასწორზედ. ‹ადესა› ღვინოს ფასი თითქმის არ მომატებია და ფუთი ოთხ აბაზიდგან რვა აბაზამდის ფასობდა. ხორაგეულობა და ღვინო მომეტებული ნაწილი სამეგრელოდგან შემოჰქონდათ. ბედნიერ დღეებში მშვენიერი და სანაქებო დარები იდგა და ახლად გაფოთლილი-ამწვანებული არე-მარე ფოთისა სწორედ სასიამოვნო სანახავი იყო. აღდგომა ღამეს წირვაზედ ერთობ ბევრი ხალხი იყო. მეორე დღეს, ორშაბათს, აქაურის ოთხ-კლასიანის სასწავლებლის მოსწავლეები თავიანთის სამხედრო მუსიკით წირვაზედ დაესწრნენ. წირვა გამოვიდა თუ არა, შეგირდები გამოვიდნენ გარედ ეზოს...

## ფელეტონი

### წერილი მეგობართან

ძმაო ექვთიმე!

ეს დალოცვილნი პოლიციელნიც, სადაც არავინ რასა ჰკითხავს, იქ ერევიან, იმის მაგიერად, რომ დასჯერდნენ იმას, რაც დაშაქრულს ბედს ურგუნებია მათთვის. ერთი უყურე ამათ: თავიანთი პირდაპირი მოვალეობაც მოუწადინებიათ თავიდგან აიცილონ და სოფელს მოახვიონ კისერზე. მოიგონეს რაღაც „კრუგოვაია პარუკა“. ჩვენებურ „კრუგოვაია პარუკის“ ამბავს ჩიტორელიძის წერილიდამ შევიტყვებდი, მაგრამ მე მაინც და მაინც გული არ მითმენს და მინდა რამ ამაზე მოგწერო, რადგან ამ „კრუგოვაია პარუკაში“ ერთ ნაირს შეფარდებას, „პრისპოსობლენიეს“ ვხედავ, შეფარდებას, რომელიც ქურდების „პრისპოსობლენიე“-ს არაფრით ჩამორჩება უკან. მეტი-ლა შეფარდება იქნება, მოსამსახურე კაცი გერქვას და იმის მაგიერად, რომ ის აკეთო, რაც შენი პირდაპირი საქმე არის, წამოსწვე მხარ-თეძოზე, ჯამაგირი იღო და საქმე-კი უსასყიდლოდ სხვას აკეთებინო? ერთის სიტყვით, ჩვენებურს „საზოგადო პასუხისგებას დანაკარგისას“ ის აზრი აქვს, რომ მთელი სოფელი თავის მიჯნებითურთ: აღმოსავლეთით დასავლეთად, გინა ჩრდილოეთით სამხრეთად, თავის ქოხ-მახიანებითურთ, ძაღლ-კატა-კამეჩებითურთ, ბაღ ბაღჩებითურთ, იქცეს ერთს საზოგადო საპოლიციო დაწესებულებად. ყველა მეძებარი გახდეს. ავი და კარგი, მართალი და მტყუანი ერთმანეთს გაჰყვეს, ერთს ტაფაში მოიწვას. აი ეხლა განხორციელდა ანდაზა: ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა, მიიტანეს და ისიც მიურთესო.

ვგონებ, ძმაო, თავი მოგაბეზრე ამდენის წერილების წერით, მაგრამ მეტი ჩარა არ არის, მოთმინება უნდა იქონიო. სადაც ეს ზემო-მოყვანილი ანდაზა იხსენიება, იქვე იმასაც ამბობენ: ‹მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო›. საცა ჯოჯოხეთს ერთს მუგუზალს კიდევ უმატებენ, იქვე ნუ თუ მოთმინება არ უნდა ვიქონიოთ, თუ გვინდა შეფარდებულნი ვიყვნეთ?!..

მაგრამ განა მარტო პოლიციელნი არიან ჩვენში შეფარდებულნი? ყველაც, ნაპეტან, ვისაც-კი შეუგნია ცხოვრების ვითარება, მისი იერი, ფერი და დიდ-პატარას ერთმანეთთან დამოკიდებულება,—ვისაც-კი გაუგია, რომ თუ არ მიაწყ-მოაწყდი, ზოგან არ გაიღრიჯე, თუნდ გულზე ცეცხლი გედებოდეს; სხვაგან ასკინკილა არ დაუარე; ვინც ჰირივით გეჯავრება, იმას „შენი ჭირიმე“, „შენ გენაცვალე“ არ უთხარი, საქმე კარგად არ წაგივა ცხოვრებაში. მაგრამ ეაი ამისთანა შეფარდებას, ვაი ამისთანა კაცს და ვაი იმ ცხოვრებას, რომელიც ამისთანა ღერძზე ტრიალებს. მოდი, რას იზამ? ტყუილად არ მირჩევდა ერთს დროს ჩემი მეგობარი კრეჭია: ‹თუ არ გასძვერ, გამოსძვერ, ბიჭო, არ მოეფერე, არ შეეხვეწე, ვისთანაც სახვეწარი გაქვს, ფონს ვერ გახვალ, ლუკმა პურს ვერ იშოვნიო. თუნდ ძალიანაც პატიოსანი კაცი იყო, შრომის მოყვარე და ნიჭიერი, მაინც ვერაფერი გიხსნის ლაქუცის მეტიო.“

რაც მართალია, მართალია, კაცმა ჭეშმარიტება სთქვა, როგორ უარ ვყოფდი?! დავეთანხმე, თუმცა-კი გულნაკლულობასა ვგრძნობდი. ჩემი გული და გონება ამ ჭეშმარიტების თქმამ ვერ დააკმაყოფილა და გულმა მწარედ შემომკვნესა: „რადა, რად არის ეგრე? მაშ რად არის ნათქვამი:

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თავისუფლება - ღირსებას,
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს
და არა გვარიშვილობას?!“

წადი და შენ შეუფარდე შენი თავი ამისთანა ცხოვრებას! ეს გარეგანი მხარეა ცხოვრებისა, შიგ-კი ვინ მოსთვლის რამდენი გველი, ბაყაყი და ჭია ირევა ერთმანეთში, რა წკრტიალი, ჭიჭყინი და კვნესა ისმის.

ან-კი განა მარტო მამაკაცები არიან შეფარდებულნი ცხოვრებასთან? დედაკაცებმაც ხელი მიჰყვეს ამ საზღვლოვანს შეფარდებას და რა არის აქ გასაკვირი? თუ მამაკაცნი უაზრონი არიან, უაზროდ ატარებენ ცხოვრებას, დედაკაცებს რად-ღა უნდა წავართვათ უფლება უაზრო ცხოვრებისა? ქალები ხომ მუდამ მამაკაცებს აღევნებენ თვალ-ყურს და უფარდებენ საწყლები თავის თავს, თავის გრძნობას, ქცევას, მოქმედებას; ჩაცმა-დახურვას— მამაკაცების გემოვნებასა და მოთხოვნილებას. ეს მუდამ ასე ყოფილა და დღესაც ასევეა. ჩვენ, ე. ი. მამაკაცნი, მაინც არ ვიშლით და ვლანძღავთ, ვაბიაბრუებთ ჩვენს მანდილოსნებს, დედაკაცის უკანასკნელ ქინძისთავსაც კი, ჩიხტი-კოპში გაგებულს, მაგრამ ამას რას ვამბობ, რომ ჩიხტი-კოპებს აღარა კადრულობენ ჩვენი ქალები, არამედ ‹შლიაპებზე› გაცვალეს იგი. მაშასადამე, უნდა ვსთქვა შლიაპა და ამაზე გაკეთებული ფუქს-ყვავილები. დიაღ, ამ ფუქს-ყვავილსაც კი დიაცი იმ მოსაზრებითა და იმ ვარაუდით იკეთებს, რომ მამაკაცისთვის მოსაწონი გახდოს. ალბად, მამაკაცებს აღარ მოსწონთ ლეჩაქიან-ჩიხტი-კოპიანები და სხვა რომ არაფერი იყოს, გასათხოვარს გათხოვება უნდა და ამისათვის ცოტად თუ ბევრად, გარეგნობასაც მნიშვნელობა აქვს. ამასთან ეს შლიაპა იმასაც აჩვენებს, იმის ნიშანია, რომ იმის მზიდველი ნასწავლია... მანამ შორიდამ ჰხედავ, ნასწავლია და რა ახლო გაიცნობ, გულ-ნატკენი დარჩები, გულ-ნატკენი და მოტყუებული. ის კიდევ კარგია, რომ ლოპიოს ქოთანში ჰხარშავენ იმ ოჯახში, საიდამაც ეს ‹შლიაპოსანი› ქალები გამოდიან. ევროპიულად იცმენ ჩვენები, ვითომ და ევროპიელ ქალებთან ფეხის გაწევა სწადიანთ, მაგრამ ის კი ვერ შეუგნიათ საცოდავებს, რომ ევროპიელობა მარტო ჩაცმა-დახურვაში არ გამოიხატება... უნდა უწყოდნენ, რომ ევროპიელი ქალები მარტო იმითი არ არიან ევროპიელნი, რომ იქაურად იცმენ და იხურვენ, მარტო ამითი არ იწონებენ ისინი თავს. თავს იწონებენ იმით, რომ ცოდნა, სწავლა აქეთ, თავითავიანთ ერის საბედნიეროდ იღვწიან და მოქალაქეობენ. იქ მამაკაცებიც მეტს უნარს იჩენენ ცხოვრების asპარეზზე და დედაკაცებიც. ევროპაში დედაკაცები კიდეც ცდილობენ ეგები ქვეყნისა და მეცნიერების სამსახურით მამაკაცთ ვაჯობოთო.

ჩვენში სრულიად წინააღმდეგი ამ-

*** სოფ. კასპი (გორის მაზრა): დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენში თ. გ. რ. ერისთავის შემწეობით, დაარსდა სასოფლო სკოლა. სკოლაში ამ ჟამად სამოცზე მეტი შეგირდია, როგორც ქალები, ისე ვაჟები, რომელთაც რიგიანად ისწავლეს წერა-კითხვა, ლოცვები, საღვთო ისტორიის მოთხრობანი, ანგარიში და გალობა ქართულადაც და რუსულადაც. მასწავლებლად სკოლაში არის ბ-ნი ნებაძე, რომელმაც ასწავლა ბავშვებს წირვის გალობა და აღდგომა ღამეს აგალობა კიდეც ეკკლესიაში. ბავშვების მშობლებს დიდად ესიამოვნათ, რომ მათი შვილები ეკკლესიაში გალობდნენ, და ნანობდნენ, რომ ადრევე არ შეეუდექით სკოლის გამართვის საქმესაო. კასპში ნახევარი გლეხ-კაცობა სომხობაა და იმათაც, რაკი გაიგეს ეს ამბავი, ჩვენს ეკკლესიაში მოაშურეს, ისე რომ ეკკლესიაში ტევა აღარ იყო და ხალხი გალავანში იდგა.

*** ოზურგეთი: 29 მარტს გარდაიცვალა ოზურგეთში ფილტვების ანთებით ხუთის დღის ავადმყოფობის შემდეგ პოლკოვნიკი თ. იესე გიორგის ძე გურიელი, ორმოც-და-ათის წლის კაცი. მისმა გარდაცვალებამ დიდად შეაწუხა გურულები. განსვენებული იყო საკმაოდ დიდი მემამულე გურიაში. წარსულ ომიანობის წინად ამორჩეულ იქმნა ოზურგეთის მაზრის მარშლად. 12 წელიწადს ასრულებდა ამ თანამდებობას. ომიანობის დროს დანიშნულ იქმნა დრუჟინის უფროსად. ამ ბოლოს დროს სცხოვრობდა ოზურგეთში და დიდად სცდილობდა ყაჩაღობისა და ფირალობის მოსპობისათვის გურიაში. ამ მხრით თ. იესე გურიელი დიდს შემწეობას აძლევდა მთავრობას. განსვენებული პურადი და სწორედ ძველებური სტუმართ-მოყვარე კაცი იყო. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

*** გუდამაყარი: ფასანაურიდგან ყაზბეგამდე 66 ვერსია. ხეობა ორია: არაგვისა და თერგისა. აქ სცხოვრობენ მოხევენი, მთიულნი და ოსები. სულ 12 სამრევლოა. ადგილი მეტად მწირია და უნაყოფო, ხალხი ღარიბი, უსწავლელი. მოდის მხოლოდ ქერი და ისიც ნაკლებად, ისე რომ მკვიდრნი სარჩოს ყოველ წელს კავკავში ყიდულობენ. მცირე შემოსავალი აქეთ მხოლოდ ქირაენობით, რომელიც ძალიან გავრცელებულია კავკავის გზაზე. ძალიან კოჭლობს აქეთ სკოლების საქმე. სულ ერთად-ერთი სამრევლო სკოლა არსებობს სოფელს მლეთში. ეს სკოლა დააარსა მღვდელმა და ბლაღოჩინმა ი. გულისაშვილმა. ამ სკოლაში 27-მდე მოსწავლეა ქალი და ვაჟი, რომელნიც მშვენიერად სწერენ და კითხულობენ ქართულად. იციან აგრეთვე მთელის წირვის გალობა ზეპირად. თითქმის ყოველ კვირა-უქმე დღეს ეკკლესიაში გალობენ ეს პატარა ბავშვები. საჭიროა დანარჩენმა მღვდლებმაც მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება და დააარსონ სამრევლო სკოლები. თუ ერთმა შესძლო ასეთი საქმე, დანარჩენთაც უნდა მოიხერხონ როგორმე. მთავრობა გულისაშვილს მხოლოდ იმით დაეხმარა, რომ სკოლის შენობა გაუკეთა თავის ხარჯით. ამისთანა შემწეობას სხვა მღვდელთაც გაუწევს მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება.

*** სოფ. ფცა (გორის მაზრა): მოვიშორეთ ზამთარი და, ცოტა არ იყოს, თავისუფლად ამოვისუნთქეთ. წელს ზამთარს ავადმყოფობას უზარალოდ ვერ გადავრჩით, მაგრამ საქონლის ჭირმა უფრო შეგვაწუხა. ოჯახი არ გადარჩა, რომ ხუთი-ექვსი სული საქონელი არ გამოეცალა ხელიდამ. აღდგომას მხიარულად მიეეგებენით, მაგრამ ორშაბათი დღე-კი დიდად სამწუხაროდ გავვათენდა. გაჩნდა ცეცხლი სოფელში, სადაც ძალიან ვიწროდა სცხოვრობენ მცხოვრებნი, და დიდი ზარალი მისცა ხალხს. მეტადრე ერთი გლეხ-კაცი ლევან ლომიძე დაზარალდა, თითქმის სულ დაილუპა. ამ გლეხ კაცს დაეწვა სახლი, წლის სარჩოთი სავსე ბეღელი და ქერ-სიმინდით სავსე საბძელი. გლეხს სვიმონ ბაზიერაშვილს დაეწვა ორ-თვალიანი წისქვილი და საბძელი. ამას გარდა ცხრა საბძელი კიდევ სხვა დაიწვა.

*** გორიდგან სწერენ «Новое Обоз.»-ეს. დღეს, პირველ აპრილს, ამობძანდა ბათუმიდგან საგანგებო მატარებლით, ნაშუადღევის სამს საათზე, იტალიის ტახტის მემკვიდრე, მხოლოდ ნახევარი საათი დაჰყო მოსასვენებლად ბ-ნ მაზრის უფროსის სახლში და მაშინვე წაბძანდა ეტლით ძველ უფლის-ციხის ნანგრევების დასათვალიერებლად. ამ სოფელში რომ მობძანდა, ხალხი „ურას“ ძახილით მიეგება. როდესაც დიდებული სტუმარი ეტლიდგან ჩამოხტა, ერთმა გლეხმა, გაბო სირანაშვილმა, პურ-მარილი მიართვა და შემდეგი სიტყვა მოახსენა: „დღეს ორ-ნაირი სიხარული გვაქვს, ერთი პასექის გამო და მეორე იმიტომ, რომ თქვენმა უმაღლესობამ გაგვაბედნიერეთ თქვენის წვევით. ვისურვებთ თქვენის უმაღლესობისათვის ყოველ კეთილს და მოგილოცავთ წმინდასა აღდგომასა ქრისტესსა“. პრინცმა აილო სავსე თიხის ჯამი, დალია ცოტა და მერე თავის ამალას გარდასცა. შემდეგ გაბო სირანაშვილმა აავსო ღვინით ჯამი და ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე III სადღეგრძელო დალია და ამის გამოვე ხალხში „ურას“ ძახილი გაისმა. ბოლოს გაიმართა დაირაზე ცეკვა-თამაშობა. ცეკვა რომ გათავდა, მისმა უმაღლესობამ ინახულა უფლის-ციხის გამოქვაბულები. საღამოს ექვს საათზე პრინცი დაბრუნდა გორში და სადილი მაზრის უფროსისას მიირთვა. სადილზე დაესწრო ტფილისის გუბერნატორიც, რომელიც დღეს მობძანდა აქ მატარებლით. მაზრის უფროსის ეზოში თამაშობდნენ ზურნაზე კინტოურს, ბაღდაგურსა და ლეკურს. დღეს საღამოს პრინცი წაბძანდა ბაქოსკენ.

*** სამუსიკო გაზეთი „ბაიანი“ იუწყება, რომ მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი სტოვებს ტფილისის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორის თანამდებობას და დაიჭერს ბ-ნ ალთანის ადგილს მოსკოვის საიმპერატორო ოპერის დირექტორობისასა.

*** «Нов. Вр.»-ს სიტყვით, სურამის გვირაბის გამკეთებელ ხუროთ მოძღვარ რიძევსკისათვის მიუნდვიათ, რომ გამოიკვლიოს ვითარება რკინის გზის გაკეთებისა კავკასიის ქედზე.

*** როგორც ვიცით, მეცხრე კლასის უქვემდებარე ჩინოვნიკებს არ ეძლევათ ამატებული ჯილდო სახელმწიფოს შორეულ და განაპირებულ კუთხეებში სამსახურისათვის. მაგრამ ამას იქით-კი, როგორც „Прав. Вѣс.“-ი ამბობს, ამიერ-კავკასიაში მოსამსახურე მიწის-მზომელთა უმცროს თანაშემწეებსაც მიეცემათ ასეთი უპირატესობა, თუმცა-კი ისინი მეცხრე კლასის ხარისხზე უფრო დაბლა სდგანან.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ბათუმი. ბათუმშიაც დაწესდა სამისიონერო განყოფილება. მისიონერნიც და სამისიონეროს საბჭოს წევრნიც დანიშნულნი არიან. სიამოვნებით უნდა მივეგებნეთ ამ ამბავს. ამიტომ ურიგო არ იქნება ამ ახალ საქმეზე ორიოდე სიტყვა ითქვას. ჩვენთან შემოერთებულის ძველის მესხეთის ნაწილები: ქობულეთი, აჭარა, ლივანა და მცირე ნაწილი ძველის კაპადოკიის და აწინდელის ჭანეთისა გამაჰმადიანებულის ქართველებით არის დასახლებული. ეს ქართველები აგერ ორასი წელიწადია კეთილ-მორწმუნე მოსლემინები არიან, ქართველური აქ მხოლოდ ენა და სახე-ღა შერჩენიათ. ისტორიული გარდმოცემა ეროვნულ თვისებათა აქ შეუფერხებია სარწმუნოებას. სარწმუნოებას წაუშლია აჭარების ცხოვრებაში ეროვნული ზნე-ჩვეულება ძველის საქრისტიანო საქართველოსი. ტრადიცია შეუსუსტებია მძვინვარე ფანატიკოსს. ისე მაგრად და მედგრად აქვს დღეს აქ გადგმული ფესვი ისლამს, რომ მასთან შეჭიდება, შეჭიდება ნება ყოფლობითი და არა ძალ-დატანებითი, ძნელი საქმეა. აჭარებს, მართალია, ახსოვთ, რომ ოდესმე იგინი ქრისტიანები ყოფილან, მაგრამ ის არა კმარა. აჭარები თავის თავს გურჯებს ეძახიან, მაგრამ ეს სულ სხვა ცნება არის. აქ სახელ-წოდება მხოლოდ ეტნოგრაფიულია და სხვა არაფერი. სხვაფრივ აჭარები კეთილ-მორწმუნე მოსლემინები არიან, როგორც სხვა „თათრები“ ოტომანის იმპერიისა. აი სათავე საქმისა. საქრისტიანო მისსიამ უნდა დაიწყოს თვისი მოძღვრება ამ გვარად გაფანატიკებულს მკვიდრთა შორის. მისსიამ ხალხზე უნდა იმოქმედოს ზნეობრივად. დოგმატიური ქადაგებანი სიტყვა-მოძღვრებანი ვერას გააკეთებენ. თვით მისსიონერი თავისის ცხოვრებით, სიტყვით, საქმით უნდა იყოს განხორციელებული მოციქული; იგი უნდა იყოს ქრისტიანობრივი იდეალი ხალხისათვის. ამ გვარი მოღვაწე მიიქცევს ხალხის ყურადღებას, ამ გვარს მოღვაწეს შეუძლიან ხალხში აღძრას სურვილი ორის დიდის მოძღვრების ერთად შედარებისა, გაიმართება ზნეობრივი ბრძოლა ორ მოძღვრებას შორის და ამ გვარად რომ შეადარონ ქრისტიანული და მაჰმადიანური აღსარებანი, საჭიროა ხალხის გაწვრთნა განვითარება. ეს საქმე შეუძლიან სამისიონერო სკოლებს, რომელნიც უნდა დაწესდეს აქა იქ. მისიის განსამდიდრებლად საჭიროა მისიონერმა იცოდეს აჭარული ცხოვრება და ის ენა, რომელზედაც აჭარები ლაპარაკობენ. წირვა-ლოცვაც ამავე ენაზე უნდა სწარმოებდეს. აჭარული პროვინციალური ენა იგივე ქართულ-გურული ენაა. ამ ენაზე ლაპარაკობენ აჭარები, ამ ენაზე ჰფიქრობენ, ამ ენაზე იდგამენ ენას და სიკვდილამდის ამავე ენაზე ლაპარაკობენ. ცხადია მაშ, რომ მისიონერმა მშვენიერად უნდა იცოდეს ქართული ენა. მისიონერი ამასთანავე გონებით განვითარებულიც უნდა იყოს, მან ზედ მიწევნით უნდა იცოდეს ღვთისმეტყველება ზნეობრივი და დოღმატიური, მსოფლიო ისტორია, ისტორია მსოფლიო ეკკლესიისა, საქართველოს საერო და საეკკლესიო ისტორია. ამ გვარს მისიონერს შეუძლიან ხალხზე ცივილიზატორული გავლენა იქონიოს, გავლენა ქრისტიანობრივის კულტურისა.

---

მცონარეობასა და თვალ-აუხვევლობას ატყდება დანაშაული.

დავასახელოთ ჩვენის ხალხის ტირილის მესამე მიზეზიც. მისი დასახელება, ცოტა არ იყოს, საძნელოა, მაგრამ რაკი საქმე სარჩელზე მიდგა, სიძნელეს როგორღა უნდა მივაქციოთ ყურადღება! მეცნიერს უთქვამს: «ღაღადი ერისა ამ სიტყვებით ითარგმნების: „პური და სამართალიო“. პურზე აქ რაღა უნდა ესთქვათ, როცა უკვე მოგახსენეთ, რომ მჭადი და ლობიო ჩვენს ხალხს, არა თუ საყოფი, არამედ გასაყიდიცა აქვს. მაშ დაგვრჩენია სამართალზედ ვილაპარაკოთ. სამართალი — თითონ ჩვენი სამართალი ამბობს — მიწრაფილი და მიუდგომელი უნდა იყოსო. ჩვენში კი ეს არ ხერხდება. მიზეზი, რასაკვირველია, ვართ ჩვენ. ჩვენის გაიძვერაობითა და მელა-ძუობით სამართალს ჩვენში ჩამოცლილი აქვს ეს უმთავრესი და უსაჭიროესი ღირსება. მაგალითად სხვებს არ დავასახელებ, შეიძლება მიწყინონ, ჩემს თავს მოვიყვან სხვების მაგიერ და ისე ვილაპარაკებ. ესთქვათ, მიბარებენ მე სასამართლოში ისეთის საქმის გამო, რომელშიაც ცხადი მტყუანი ვარ. ამ საქმის გადაწყვეტა ისე შემიძლიან გავაჭიანურო, რომ თავი მოვაბეზრო მომჩივანს სასამართლოში თრევით და ამას გარდა, თუ გარჯას და მეცადინეობას არ დავიშურებ, შემიძლიან ბოლოს სრულიადაც გავმართლდე და ჩემი მომჩივანი პირში ჩალა-გამოვლებული დავტოვო. როგორ? ეს რასა ჰგავს? მტყუანი ხარ და შეგიძლიან გამართლდე? განა სულ დაჰკარგე ადამიანობის ნიშან-წყალი, რომ ამას ასე თამამად და თავისუფლად ამბობ? რა უყავი სირცხვილი? სად დაბნიე ნამუსი? მომწვდები და დამიწყებ ლანძღვას. რავდენიც გინდოდეს იმდენი იგინე და ილანძღე და რავდენადაც შეგეძლოს, იმდენად გაიკვირვე და გაიოცე ეს ამბავი. მე პირ-იქით ის მაკვირვებს, რომ ამ დროს კაცი ბრძანდებით და დროს შესაფერად-კი არა ყოფილხართ მომზადებული. საქმეც იმაშია, ჩემი გმირობაც ის არის, რომ მტყუანი ვიყო და თავის გამართლება მოვახერხო, თორემ მართალი თუ ვიქნები, რაღა გამართლება დამჭირდება! რადგანაც ასეთი ხამი და გამოუცდელი ყოფილხართ, მადლია, ეგებ თქვენც შეგხვდეს ესეთი საქმე, გიამბობ თუ რა ხერხით და ოსტატობით შეგიძლიან თავის გამართლება. ეს ხომ იცი, როცა გიჩივლებენ, მოსამართლე უწყებას გამოგიგზავნის და პასუხის საგებად მიგიწოდებს სასამართლოში. ეს უწყება ჩვენს კანცელარიაში მოუვა მამასახლისს, მაგრამ იმას რა გაეგება, წერა არ იცის და კითხვა. იქ მთელ საქმეს მწერალი ატრიალებს და აი სწორედ იმასთანაც მაქვს გაკეთებული „დოვერიე“ და „ზნაკომობა“. პირველ მოწოდებაზე დააწერს უწყებას, რომ დაბარებული ავად გახლავს და მეორე ასლი უწყებისა თუმცა ჩაჰბარდა, მაგრამ სასამართლოში გამოცხადება არ შეუძლიანო. ეს ისე გაკეთდება, რომ მამასახლისს ამის სიზმარ-ცხადი არ ეცოდინება. ამ ნაირად პირველ «ზასედანიაზე» საქმე გადაიდება. მოვა მეორედ უწყება, ეხლაც ჩემი კეთილის-მყოფელი მწერალი მომიხერხებს საქმეს: დააწერს, რომ დაბარებული სხვაგან არის წასული და ვერ შევძელით უწყება ჩაგვებარებინაო. საქმეს მეორედაც გადასდებენ ასე, რომ ორი-სამი თვევე ისე გავა, სასამართლოსაკენ გზათაც არ გავიარო. ამ ხნის განმავლობაში მე მხოლოდ იმას ვსცდილობ, რომ მოწმენი მივიმხრო როგორმე და ჩემს სასარგებლოდ ვაჩვენებინო საქმის გარემოება. ან სიტყვით მოვინადირებ, ან ქრთამით. მოწმის დაქრთამვა ხომ ადვილი საქმეა. მანეთად თუ გინდა „ლომის-კარელზე“ დაიფიცებს და სიცრუეს-კი აჩვენებს. ამას გარდა ისეთს კაცს ვიშოვი და გავიცნობ, რომელიც „СУДЬЯ“-სთან დაახლოვებული და იმისი კარგი ნაცნობი იქნება. ეს კაციც, რასაკვირველია, მასლაათის დროს „СУДЬЯ“-ს გადუკრავს სიტყვის, რომ ამა და ამ საქმეში თურმე მოპასუხე მართალი ყოფილა და რატომ წახდა ასე დრო, რომ ასეთს ყალბს საჩივარს გასავალი აქვსო. ამასთან დაუმატებს, რომ მე იმ კაცს ძლიერ კარგად ვიცნობ და კიდეც ვწუხვარ, რომ ასე უსამართლოდ მაწუხებენო. ამ ლაპარაკის გამო „СУДЬЯ“-ს სახეში ვეყოლები. გავჩარხავ ამ ნაირად საქმეს და სრულიად დაიმედებული, რომ საქმეს მოვიგებ, გამოვცხადდები «სუდში». მართლა, დამავიწყდა მეთქვა, რომ თუ საქმე იქამდე მივიდა, მოპირდაპირემ აპელაციის გადატანა მოინდომა, მაშინ „სუდის“ მწერლებთან მაქვს საქმე გაწყობილი. ისე მოახერხებენ, რომ საქმის ახლოს არ აღირსებენ მომჩივანს და აპელაციის ვადას გადააცილებინებენ. მერე წამოვდგები და მოცდენასა და ხარჯს ერთი-ორად გადავახდევინებ. მაშ, ასე უნდა კაცი, მერე ისიც ამ დროში! მაგრამ ყველა ასეთები არ გეგონოთ. სოფელში ორი სამი თუა ასეთი, სრულიად საკმარისია. მთელი სოფელი რომ ერთის მხრით იყოს და ერთი ასეთი მოხერხებული კაცი მეორეს მხრით, ისეთს საქმეს დაჰმართებს, რომ სულ „ცივის კურცხლით ატირებს“ სოფელს.

ეს კიდევ რა, მე ისეთს ამბავს მოგითხრობთ, რომ ეს ნატამალიც არ იყოს ზემოხსენებულისა. ხომ იცით, რომ ჩვენში ყაჩაღები არიან და მთავრობა იმათ დიდის თვალ-გაფაციცებითა და გულ-მოდგინებით დაეძებს, მაგრამ დღემდე ვერ უპოვნია. მთავრობა დარწმუნებულია, რომ იმათ ქომაგები ჰყავთ და ამის გამო უძნელდება იმათი გაბაწვრა. მაშ საჭიროა ჯერ ქომაგები იპოვონ და ალაგმონ და შემდეგ ყაჩაღებს დაუგონ ხაფანგი. ეს გარემოება მე შემიძლიან ჩემდა სასარგებლოდ და ჩემის მეზობლის, იმ მეზობლის, რომელიც თვალში არ მომდის, საზიანოდ გამოვიყენო. ხოლო არ მკითხავთ, რატომ არ მომდის თვალში ესა თუ ის მეზობელი? მიზეზი უბრალოა. ამას წინად, რომ „დამაცხინკვა“, მან „ღვთის წყალობის“ თქმა დამიგვიანა. ეს საკმაო საფუძველია იმისი, ვიფიქრო, რომ ჩემს

უამისოდ ამ დიდის საქმის შეჭიდება მხოლოდ უსამართლობა, ბარბაროსობა და უზენაესის სიმართლის დარღვევა იქნება. ეს იქნება ხალხის გრძნობისა და თავმოყვარეობის შელახვა. ინებოს ღმერთმა, რომ საქმეს ღირსეულად შესჭიდებოდეს წარმომადგენელი დიდებულის ქრისტიანობრივის სარწმუნოების.

ბათუმელი

## წვრილი ამბები

აი იმ კაცების სია, რომელნიც უველაზედ მდიდარნი და შეძლებულნი არიან მთელის ქვეყნის ზურგზედ:

| | მილ. | მან. |
|---|---|---|
| გულდსა (ამერიკელია) აქვს თავნი ფული 550 მილიონი მანათი და ყოველ წლიურს სარგებელს იღებს. . . . | 28 | „ |
| მაკეაი (ამერიკელია) 490 აქვს | 25 | „ |
| როტშილდს (ინგლისელია) აქვს 400. . . . . | 20 | „ |
| ვანდერსტილდს (ამერიკელია) აქვს 250 . . . . . | 12½ | „ |
| ჯონსს (ამერიკელია) აქვს 200 . . . . . . . | 10 | „ |
| ჰერცოგს ვესტმინსტერგელს (ინგლისელია) აქვს 160 | 8 | „ |
| ჯონ ასტორს (ამერიკელია) აქვს 100. . . . . | 5 | „ |
| სტიუარტს (ამერიკელია) აქვს 80 . . . . . . | 4 | „ |
| ბენეტს (ამერიკელია) აქვს 60 | 3 | „ |
| ჰერცოგს სოტერლანდელს (ინგლისელია) აქვს 60 . | 3 | „ |
| ჰერცოგს ნორტუმბერლანდელს (ინგლისელია) აქვს 50 . . . . . . . | 2½ | „ |
| მარკიზ ბიუტს (ინგლისელია) აქვს 40 . . . | 2 | „ |
| სულ ამ თორმეტ კაცს შეძლება აქვთ 2,440 მილიონი მანათი და წლიური სარგებელი ემლევათ . . | 123 | „ |

— ქ. ოდესაში მოსულა პარიჟიდგან ახლა ერთი შესანიშნავი რუსის ინჟინერი ბორდიჩევსკი-აპოსტოლოვი. ამან იმისთანა ელექტრონული მანქანა გამოიგონა, რომ არც ქვაბი სჭირდება, არც სატრიალებელი მოწყობილება და პირდაპირ აჩენს ელექტრონის სინათლეს. ღირს ერთობ იაფად: ასის ლამპის ანთება ას ორმოც-და-ათ საათის განმავლობაში სამ შაურად დაჯდება. როგორც ამბობენ, ამ მანქანის კეთების საიდუმლოება ბორდიჩევსკის ერთის პარიჟელის საზოგადოებისათვის 12 მილიონ მანათად მიუყიდნია და ზოგიერთი ალაგები პარიჟში უკვე გაუნათებიათ იმის მანქანის ელექტრონით. გარდა ამისა ბორდიჩევსკიმ ელექტრონული მოწყობილება საკერავ მაშინისათვისაც მოიგონა: ეს მოწყობილება მაშინას თითონ ამოძრავებს და მკერავს ფეხებით მუშაობა აღარ სჭირდება. ახლა-კი თურმე ელექტრონულის გემის მოწყობას აპირებს. ბორდიჩევსკი ამბობს თურმე, რომ ამ ნაირი გემი ევროპიდამ ამერიკაში მხოლოდ 26 (?) საათის განმავლობაში მივაო. ბორდიჩევსკის ტფილისის რეალური სასწავლებელი გაუთავებია თავიდგანვე დიდი წყურვილი ჰქონებია სატეხნიკო მეცნიერებისა და ამის გულისთვის თუმცა ჯიბეში ორიოდე გროშის მეტი არა ჰქონია-რა, მაგრამ მაინც განუზრახავს პარიჟში წასვლა. ვენაში რომ მისულა, ფული სულ შემოლევია და, მეტს რომ ვეღარაფერს გამხდარა, ერთს ვაჭარს მწყემსად დასდგომია, ამით ცოტაოდენი ფული შეუგროვნია და ბოლოს მისულა პარიჟში, სადაც ერთი რუსის მღვდელი გაუცვნია და იმის შემწეობით შესულა სახუროთ-მოძღვრო სასწავლებელში.

— „Figaro"-ში უკვე ფელეტონებად იბეჭდება გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის „Крейцерова соната".

## დეპეშა

31 მარტი

პეტერბურგი. გუშინდელ მთავრობის მიერ ნაუწყებს ამბავში შეცთომით იყო მოყვანილი საზეითალო ინსტიტუტიდგან გამორიცხულ სტუდენტთა რიცხვი. ნამდვილად დათხოვნილია 39 და გამორიცხული 6 კაცი.

„С.-Петер. Вѣд."-ი იუწყება, რომ ბუხარის ემირს განზრახვა აქვს ამ წელს პეტერბურგში მოვიდეს. ამ მგზავრობას, სხვათა შორის, აზრად ისიც აქვს, რომ თავისი შვილი საპაჟო კორპუსში მიაბაროს.

სპარსეთში რკინის გზის გაყვანა მინდობილი აქვთ პოლიაკოვსა და მერეინგსს, რომელნიც გაემგზავრნენ კიდეც იქითკენ.

კვლავ აღძრულია სწრაფ-მავალ სავაჭრო კრეისერების რუსულ საზოგადოების დაარსების საქმე და ამ საზოგადოების წესდება შეტანილია კიდეც მინისტრთა კომიტეტში. საზოგადოების გემები ბალტიისა და შავს ზღვაზედ იქნება. მართველობა პეტერბურგში უნდა იმყოფებოდეს, ხოლო ოდესაში — ამ საზოგადოების შავის ზღვის განყოფილება. საზოგადოების ყველა წევრი და მოხელე რუსეთის ქვეშევრდომი უნდა იყოს, მართლმადიდებელის სარწმუნოებისა.

„Гражданинъ"-ი ამბობს, რომ პეტერბურგიდგან იმპერატორი ვილჰელმი წავა სამხრეთ-დასავლეთის მხრისაკენ, სადაც დიდი ალლუმები იქნება გამართული, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრისკენ გაემართება და აქ დიდს ნადირობას გაჰმართავენო.

«Новости» იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭოს უკვე წარედგინა იმის პროექტი, თუ როგორ შეიცვალოს წესდება იმ უპირატესობის და შეღავათისა, რომელსაც ანიჭებს კაცს განათლების ცენზი, და აგრეთვე საზოგადო წესდება საპენსიო კასებს შესახებო.

საჭიროდ იქმნა ცნობილი, რომ ყოველ წლივ გაიმართოს სამეურნეო სასწავლებელთა მოსწავლეებისათვის საზოგადო ეგზამენები.

ფქვილის პატრონნი შუამდგომლობენ, რომ შეიცვალოს სადამოჟნო გარდასახადი, სამეურნეო აპარატებსა და მაშინებზედ დაწესებულიო.

მადრიდი. ვალენციაში დიდი უწესოებანი იყო. 15,000 კაცი შევარდა კარლისტთა კლუბში, ავეჯეულობა დასწვა და იეზუიტთა მონასტრისკენ გაიწია, რათა იმისთვისაც ცეცხლი წაეკიდებინა. ჯარი იძულებული იყო ხალხის ბრბოსათვის თოფი ესროლნა და სამი კაცი დასჭრეს კიდეც. პალატაში გამოცხადებულ იქმნა, რომ შვიდის საათის განმავლობაში მეამბოხენი იყვნენ ქალაქის პატრონნიო.

1 აპრილი

პეტერბურგი. უმაღლესად ებოძათ: მიტროპოლიტს კიევისას პლატონს — წმ. ანდრია პირველ-წოდებულის ორდენის ბრილიანტის ნიშნები, მოსკოვის მიტროპოლიტს იოანიკეს და არხიეპისკოპოსს ტფილისას ნიკანდრს — ორდენი წმ. ვლადიმერისა 1-ლ ხარისხისა, არხიეპისკოპოსებს: ხერსონისას ნიკანდრს და ჩერნიგოვისას ბენიამინს — ოელ. წმ. ალექსანდრე ნეველისა. ორდენები ებოძათ: წმ. ალექსანდრე ნეველისა ალმასებითურთ საფრანგეთში დანიშნულს ბარონ მორენჰეიმს; უალმასოდ: სულთანთან დანიშნულს ელჩს ნელიდოვს, სახაზინო დეპარტამენტის უფროსს ზინოვიევს, საუფლის-წულო მამულების დეპარტამენტის გამგეს რიხტერს, იუსტიციის მინისტრის ნაამხანაგარს მარკოვს, სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამხანაგს ვეშნიაკოვს, თეთრის არწივის ორდენი: ბეჭდვის საქმეთა უმთავრეს გამგეობის უფროსს ფეოქტისტოვს, იუსტიციის მინისტრის კანცელარიის გამგეს ყაზემ-ბეგს და სენატის საკასაციო დეპარტამენტთა ობერ-პროკურორს ნეკლიუდოვს; წმ. ვლადიმერისა მე-2 ხარისხისა: სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგს ჩერევანსკის და გზათა უწყების მინისტრის ამხანაგს ევრეინოვს; წმ. სტანისლავისა 1-ლ ხარისხისა ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეს ხატისოვს, კავკასიის ოლქის გზათა უწყების უფროსის ამხანაგს ზაგიუს და სომეხ-გრიგორიანთა სინოდის წევრებს გალუსტიანცსა და ხუდავერდიანცს. ებოძათ: ტაინი სოვეტნიკობა — გზათა უწყების სამინისტროს კანცელარიის დირექტორს მიხნევიჩს, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა — სათავად-აზნაურო და საგლეხო სადგილ-მამულო ბანკთა გამგეს თანამდებობის აღმასრულებელს გოლენიშჩევ-კუტუზოვს. დაინიშნა: იუსტიციის მინისტრის ამხანაგი მოსკოველ სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის პირველ წევრთა შორის, ამ სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი არაკინი — იუსტიციის მინისტრის ამხანაგად, სახაზინო დეპარტამენტის საქმეთა მწარმოებელი ლესსარი — ბუხარის საპოლიტიკო აგენტად, ხოლო ბუხარის აგენტი ჩარიკოვი ზემოხსენებულ დეპარტამენტის საქმეთა მწარმოებლად.

3 აპრილი

რომი. გუშინ დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე მეუღლითურთ წაბრძანდა იახტა «სიეილათი» ბრინდიზიდგან ჩერნოგორიაში.

ლონდონი. როგორც კუნძულ კრიტით მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, უკანასკნელი დრტვინვა-ჩივილი ქრისტიანეთა, რომ ოსმალეთის ჯარისკაცნი დ ჟანდარმები უდიერად და ძალმომრედ გვეპყრობიანო, სამართლიანი ყოფილა; ამ საქმის გამოისობით დაპატიმრებულნი არიან ერთის ჟანდარმის უნტერ-აფიცერი და ერთიც უბრალო ჯარის-კაცი, ვითარცა უმთავრესნი ბრალდებულნი.

ნიუ-იორკი. პურის ბაზარი ძალიან აღელვებულია; გუშინ ფასმა მეტად აიწია და ბევრიც გაიყიდა.

ვენა. სამინისტრომ გადასწყვიტა შეიწყნაროს და დააკმაყოფილოს მუშათა თხოვნა, რომ იდღესასწაულოთ ხოლმე პირველი მაისი, როცა საზოგადო მანიფესტაცია იქნება მუშებისა. ნება მიეცათ დღესასწაულისა მხოლოდ იმ მუშებს, რომელნიც სახელმწიფო ქარხნებში იმყოფებიან, რადგან თვით წარმოებას ამით ზარალი არ მიეცეს. იმ მუშებს, რომელნიც ნება-დაურთველად იდღესასწაულებენ 1 მაისს, ჯარიმა გარდახდებათ.

ჩრდილოეთ ბოჰემიაში მეფაბრიკეები ჰშიშობენ, ვაი თუ კვლავ მოხ-

---

მეზობელს ჩემთვის კეთილი არ უნდა. მეც უნდა ვეცადო სამაგიერო გადავუხადო. შევჯდები ცხენზე და გავსწევ, საითაც ჯერ არს. მივალ და, ვისაც საჭიროა, მოვახსენებ:

„რა ვქნა, ბატონო, ძალიან მეძნელება იმის თქმა და გამხელა, რისთვისაც გიახელით, მაგრამ ერთგულება თქვენი და გულ-შემატკივრობა ქვეყნისადმი დიდი საქმეა და ამ დიდ საქმეს ვერ ვუღალატებ, თორემ მეზობლის გაცემაც არ არის ცოტა საქმე, კი მოგეხსენებათ. მერე კიდევ მე და ის კაცი ძმებივით ერთადა ვართ შეზრდილნი. ჩემი მოტირალი და მოცინარი იგია და არ ვიცი, რა ვქნა, მეცოდება საწყალი! მეცოდება სწორედ!"

რაკი სიტყვა „გაცემა" ვახსენე, ცხადია, მიმიხვდებიან, რაშია საქმე და რა მწადიან სათქმელად. ამდენ ხანს რომ სალამს არ მაღირსებდნენ, ეხლა სკამსაც მითავაზებენ, გვერდითაც მომისმენ. ასეთის წყალობითა და ყურადღებით წახალისებული და გათამამებული მოვყვები თავის მოკატუნებით, ენის კენტითა და ძალვრემილის სახით ჩემს წილადობილას ისე, რომ არავითარი ეჭვი არ აიღონ, ვითომ მართალს არ ვლაპარაკობ. „ბატონო, მე ის უფრო მაწუხებს და მაღონებს, რომ ის კაცი ამდენს ხანს მართალ კაცად იყო ცნობილი, სახელი და პატივისცემა ჰქონდა მოპოებული და ასე უცბად მისი გაშავება, ასეთის ამბის დატეხა ცოდვაა და ცეცხლია, მაგრამ, რაც უნდა იყოს, დარჩიამ (ყაჩაღზე ვამბობ) მთელი ქვეყანა აიკლო და თქვენც შეგაწუხათ და მისი შემნახავი და ქომაგი იუდის კერძი და თანაზიარია. თორემ მეზობელს, რავა ღმერთი გამიწყრება, ასე რავა გამოვიმეტებ! მერე რა მეზობელი! ცეცხლი რომ გამიქრეს, მას უნდა გამოვართვა, ისე ახლოს სახლობს ჩემთან. ნეტავი, თქვენი ქრისტეს მადლით, ასე ახლოს არ ყოფილიყო ის ოჯახ-აშენებული, აგებ ეს ამბავი აღარ მცოდნოდა და ვიქნებოდი ჩემთვის მოსვენებული. აღარც თქვენი შეწუხება მომიხდებოდა და აღარც მისი მომდურება (რომ შემიტყოს, დამემდურება). ხოლო რაკი ვიცი, დაფარვა აღარ შემიძლია. თექვსმეტჯერ ვარ «ლომის კარელზე» ნაფიცი, — გწყალობდეთ მისი მადლი — და რაღა დროს დაფარვაა! ამას წინეთ გიახელით მისას, ცხენი უნდა გამომერთმია, თუ ხარები, კარგად არ მახსოვს, მაგრამ ეს რა საჭიროა! ღამდებოდა, სახლის კარი მიხურული იყო და სრულიად წინააღმდეგ ჩემი ჩვეულებისა დაუძახელად მივადექი კარს. ვნახოთ სახლში ერთი ჩურჩული და ვაი-ვაგლახია. ცოლი ეუბნებოდა:

— ქვეყანა ასვრილი და „აპუნტულია" და ამიერითგან დარჩიას სახლში ველარ შემოგაყვანიებო. რაც ამდენ ხანს ვინახეთ, ისიც კმარა და რომ შეგვიტყონ, ხომ სამუდამოდ დაგვკარგვენო.

ქმარი სტუქსავდა და უჯავრდებოდა:

— როგორ თუ ვერ შემომაყვანიებ, მაშ მე ოჯახის უფროსი და სახლის-პატრონი აღარ ვყოფილვარ. ვერავინ ვერ შეგვიტყობს და, არა თუ ვერ შეგვიტყობენ, ეჭვიც-კი არავის დაებადებაო და სხვ.

მოვკარი ამ სიტყვებს ყური თუ არა, მაშინვე მათდა შეუმჩნევლად გამოვბრუნდი შინისკენ. ეხლა თქვენ იცით, მე რაც შევნიშნე, ეგ არის, მოგახსენეთ. ძრიელ სასტიკადაც ნუ მოეპყრობით, თუ შეიძლება, რა ვუყოთ, ეშმაკი კაცს შეაცდენს. ამის შემდეგაც, როგორც მოვალეობა მოითხოვს ქვეყნისათვის გულ-შემატკივარისა და მთავრობის ერთგულის კაცისაგან, თუ რამე შევნიშნე, მოგახსენებთ.

ჩემს მოსაუბრეს ესეთი მოხერხებული სიტყვები სრულიად გულწრფელი აღსარება ეგონება, სრულიად უზადო და უხინჯო ამბავი. ფიქრადაც არ მოუვა, რომ ეს მხოლოდ ჩემის გულ-ღვარძლიანობის ნაყოფია, მომშურნეობის გესლია და სხვა არაფერი. ამით მე დიდს ყურადღებას დავიმსახურებ, დიდს პატივისცემას ვიშოვი და სხვა რაღა მინდა, ამ დროში ხომ ეს არის საძებარი.

აი, ბატონებო, რა გვარი კაცები გვყავს მაზრაში. აი ვისგანაც არის შეწუხებული, შეჭმული და ატირებული ხალხი. მაგრამ რა მარტის ბრალია, რომ ჩვენმა ცხოვრებამ ესეთი გმირები გამოჰზარდა და ასეთს სამარცხვინო ასპარეზზედ გამოიყვანა სამოქმედოდ. რა მარტის ბრალია, რომ ჩვენს კეთილის-მყოფელთა გამჭრიახობას დღემდე ვერ უცვნია ასეთი გმირები და იმათს სიტყვას იჯერებენ და ერწმუნებიან, გასავალი და ბაზარი აქვს. თუ ეს ასე არ არის, თუ ეს გარემოება არ არის თავდა-პირველი მიზეზი ამისი, მაშ ყოველ-გვარმა ზომამ და ღონისძიებამ, ყაჩაღებისა წინააღმდეგ მიღებულმა, რად ჩაიარა უქმად და ამაოდ? ყოველივე მოქმედება ამ საქმეში „წყლის ნაყვას" რად დაემსგავსა? ნუ თუ „ამაო ამაოთა და ყოველივე ამაო არს?!"

დასასრულ გავბედავ და ვიტყვი, რომ ამ სტრიქონების წერის დროს, მარტო მარტის გამოსარჩლებაც არ მქონია სახეში, არამედ ის გარემოებაც რომ ამ ჟამად ჩვენს მაზრას ჰმართავს საიმედო კაცი, რომელიც, ვგონებთ, იმედს შეგვისრულებს თავის გამჭრიახობითა და უნარიანობით. ჩვენი მაზრა დღესაც სიამოვნებითა და ლოცვა-კურთხევით იხსენიებს, ვინც ჩვენში პატიოსნებით ილვაწა, ვინც მიუყაითობა და საქმის ყოვლის მხრით შეგნება, „ათჯერ გაზომვა და ერთხელ გამოჭრა" სახელმძღვანელოდ მიიღო. დიდი საქმეა, როცა ერი მადლობით იხსენიებს მათთვის გარჯილსა. ჩემის აზრით, ყოველი მოხელე უნდა სცდილობდეს ეს ჯილდო დაიმსახუროს. მას ვერავითარი სხვა ჯილდო ვერ შეედრება. სასურველია იმ გზას დაადგნენ ჩვენის მაზრის დღევანდელნი მოღვაწენიც და ჩვენს ათას ნაირად დაწყლულებულს მაზრის წყლულის შესაფერად უწამლონ და უმკურნალონ.

რაბამ დიდ იყოს, მაშინ სამს
კაცი გულითა ჰდაბლობდეს;
კაცს სათნო ეყოს და ღმერთსა
სამარადისოდ ჰმადლობდეს.

დათიკო ვერმიცანაშვილი

დეს უწესოება და სისხლი დაიღვარო-სო.

დღეს ვენას შეიკრიბება შინაგან სნეულებათა სამკურნალო კონგრესი. კონგრესში მონაწილეობას იღებს 500 ექიმი, რომელთა შორის რუსები და ფრანგებიც არიან.

### 4 აპრილი

პეტერბურგი. «Нов. Время» იუწყება, რომ ჩქარა შეუდგებიან იმის გამოძიებას, თუ რა ადგილას იქმნას გაყვანილი რკინის გზა სამარყანდიდგან ტაშკენტამდე. ამ გამოკვლევისათვის საჭირო ფული უკვე გადადებულია. განსაკუთრებით ხოჯენსტის მაზრის იმ ადგილებს მიექცევა ყურადღება, რომელიც უკვე შემუშავებულია, რათა რკინის გზას დაუახლოვონ ფერმანის ოლქი და თურქესტანის ქვა-ნახშირის მადნეულობანი.

„Новости“ ამბობს, რომ მეცნიერებათა აკადემიასთან დაარსდება კომისია აკადემიის წესდებისა და შტატთა განსახილველად. კომისიას მხოლოდ უმთავრესს საგნებზედ ექნება სჯა, ხოლო წესდების პროექტის შემუშავება-კი განზრახვა აქვთ განსაკუთრებულს კომისიას მიანდონ, საერო განათლების სამინისტროსთან დაარსებულს. ამ კომისიაში უნივერსიტეტის წარმომადგენელთაც უნდა მიიღონ მონაწილეობა.

„С.-Пет. Вѣд.“-ი იუწყება, რომ იმ პურზედ სესხის აღების საქმე, რომელიც უკვე გემზედ დატვირთულ დაბინავებულია, საკანონ-მდებლო წესით იქმნება გადაწყვეტილი, და ამიტომ უექველია ამ გაზაფხულსავე გადაწყდებაო.

ახალი წესებია დამტკიცებული კერძო საქველ-მოქმედო საზოგადოებათა შესახებ. ამ წესებით ყოველი კერძო საქველ-მოქმედო საზოგადოება ვალდებულია თავისის მოღვაწეობისა და შეძლების ანგარიში წარუდგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

„Гражданинъ“-ი ამბობს, რომ მომავალ სამშაბათს მინისტრთა კომიტეტში განიხილავენ სევასტოპოლსა და თეოდოსიას შორის პორტის ამორჩევის საქმეს, ხოლო შაბათს—სახელმწიფო საბჭოში განხილულ იქმნება გიმნაზიის სამასწავლებლო გეგმაში ზოგიერთის ცვლილების შემოღების პროექტი. სხვათა შორის განზრახვა აქვთ ვაკანსიის დრო ცოტა გააგრძელონ.

გუშინ უმაღლესი კარი გაზაფხულის გასატარებლად გატჩინოს წავიდა. წასვლის წინად სასახლის მოედანზედ პარადი იყო ახალ მოკრეფილ ჯარის-კაცთა.

პარიჟი. პრეზიდენტი კარნო დღეს შუადღისას სამხრეთ დეპარტამენტებში მიდის და თან ახლავს 44 კორრესპონდენტი საფრანგეთისა და საზღვარ-გარეთის გაზეთებისა.

ვენა. ადვილად შესაძლებელად მიაჩნიათ კრისპის სამსახურიდგან გამოსვლა. ამ ამბავს შედეგად იტალიისა და საფრანგეთის დაახლოვება მოჰყვება. ბერლინისა და ვენის კაბინეტებში დიდად არ შეიმჩნევენ კრისპის თანამდებობიდგან გადადგომას, რადგან მეფე ჰუმბერტო წინანდებურადვე სამთა კავშირის წევრად იქმნება.

ბერლინი. პრუსიის დეპუტატთა პალატის დღევანდელს კრებაზედ კანცლერმა კაპრივიმ ილაპარაკა და თვალი გადაავლო თ. ბისმარკის მნიშვნელობასა და წარსულს მოღვაწეობას და სთქვა, რომ იმედია, მერმისი პრუსიისა უზრუნველ-ყოფილიაო; შენობა საკმაოდ მკვიდრად არის აგებული, ასე რომ უამინდობასა და ქარტეხილს გაუძლებსო; ახალს ხანას არას უნდა ველოდდეთ. სამინისტროში წინ წამოიწევს კოლეგიალური წესი საქმეთა მართვისა. მე დიდს სამოღვაწეო და სამოქმედო ადგილს დავუთმობ საქმიანს გამოკვლევას საგნისას და კეთილს ყველგან წავეტანები, სადაც-კი მოვხელავო.

### 5 აპრილი

პეტერბურგი. „Journal de St.-Pétersbourg“-ი ამბობს, რომ ზოგიერთა უცხოეთის გაზეთები, მეტადრე ამ ბოლოს დროს, დიდის გულ-მოდგინებით ავრცელებენ ისეთს ხმებს რუსეთის შესახებ, რომელსაც აზრად აქვს მოუსვენრობაში ამყოფოს საზოგადოება. ამასთანავე ზემოხსენებული გაზეთი ამტკიცებს, რომ თვით უცხოეთის მწერლობაში ეწინააღმდეგებიან ასეთს სამარცხვინო ხელობას ზოგიერთის გაზეთებისასაო. გაზეთს მოჰყავს წერილი „Memorial Diplomatigue“-სი და ამბობს, ხმა ერისა სასტიკს მსჯავრს დასდებს იმ მანქანებას, რომელსაც საგნად აქვს ღონისძიება მისცეს სამოქმედოდ მეტად საშიშს აგიტატორებსაო.

ბერლინი. პრუსიის სეიმის კრებაზე იმპერიის კანცლერმა კაპრივიმ სთქვა, რომ სამინისტროს გამოცვლის შემდეგ გულდადებით იქმნა განხილული, ვიმსახუროთ თუ არა გაზეთები, ესე იგი ვინდომოთ თუ არა მათი შემწეობაო და მას უკან საკანცლერო ბიუროდამ ერთის სტრიქონიც არ გაგვიგზავნია გაზეთებში დასაბეჭდად. „რაიცა შეეხება იმას, რასაც უცხოეთის გაზეთები სწერენო, დასძინა კანცლერმა,—ამ შემთხვევისთვის-კი მთავრობა ნებას აძლევს თავის თავს ზოგჯერ, როცა საჭირო იქნება, ეცადოს და გერმანიის გაზეთების შემწეობით შესცვალოს აზრი და მიმართულება საზღვარ გარედ დაბადებული. ამ შემთხვევაშიაც-კი ნება მთავრობისა ბევრნაირად იქმნება შეზღუდული, ისე რომ მთავრობა მართებულობისა და რიგიანობის გზას არ გადუხვევსო.

პეტერბურგის ბირჟა, 4 აპრილი.

| | მყიდველ-ნი. | გამყიდვე-ლნი. | გაყიდუ-ლნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | 7 33 | „ |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 145¾ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 230½ |
| —მეორისა | — „ | — „ | 216½ |
| —მესამისა | 217 | — „ | 215¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და ყირიმში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (ყირიმსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

## განცხადებანი

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

**2 მან.**

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები-

| | მან. კაპ. |
|---|---|
| ძმა ძმის მტერი, მოთხრობა წითლიძისა . . . . . | „ 10 კ. |
| უბის წიგნი, ვალ. გუნიასი 1890 წ. . . . . . . | „ 40 |
| თვით მასწავლებელი ბიაშვილისა . . . . . . | „ 45 |
| პირუტყვების ამბები, საყმაწვილო წიგნი სურათებით . . . . . . . | „ 25 |
| წმინდა ნინო. . . . . . | „ 2 |
| ტაძრად მიყვანება ღვთისმშობლისა . . . . | „ 2 |
| ესთერი . . . . . . . | „ 5 |
| დარიგება სალმრთო სჯულის სწავლებაზედ, დ. ღამბაშიძისა . . . . | „ 30 |
| ბექანიანი. . . . . . | „ 15 |
| ძეგლის-დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . . . | „ 25 |
| განკიცხული ა. მოჩხუბარიძისა . . . . . . . | „ 60 |

გამოვიდა და ისყიდება

„უბის წიგნი 1890 წლისათვის“

შედგენილი და გამოცემული

ვალ. გუნიას მიერ

ფასი 40 კაპ.

---

## კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შესწორებული გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

## დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი **ექვსი შაური**.

ვინც ერთბაშად **ნაღდს ფულზე** იყიდის **ოც-და-ათს** ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა **ხუთ შაურად**.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება **ორი შაური**. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ **რვა კაპეიკი**.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი **თხუთმეტი შაური**.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის **ათს** ცალს, წიგნი დაეთმობა **თოთხმეტ შაურად**, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—**სამ აბაზად**, ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ **სამი შაური**.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, **გასაგზავნი ხარჯი** თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Доз. ценз. Тифлисъ, 5-го Апрѣль 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.